საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
მერია

2800 ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37 Lanchkhuti@yahoo.com

N 2547
17/08/2020

2547-09-2-202008171408

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილისა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს ქალთა საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის ლანჩხუთი“-სთვის (ს/ნ 433649493) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N19 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს;

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს;

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

მოგახსენებთ, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას მომართა შპს ქალთა საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის ლანჩხუთი“-ს დირექტორმა დურმიშხან ჩხაიძემ, რომელმაც განმარტა, რომ შპს არ იყენებს სოფელ ნიგოითში არსებულ სტადიონს. ასევე მუნიციპალიტეტს მომართა ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის“ (ს/ნ 433649359) დირექტორმა და ითხოვა აღნიშნული სტადიონის სარგებლობაში გადაცემა რაგბის მოედნის მოსაწყობად.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონება აუქციონის გარეშე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, გადასცეს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ხელი რომ შეეშალოს იურიდიული პირის ფუნქციონირებას, გთხოვთ თქვენს თანხმობას.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია მერიის იურიდიული სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის გიორგი ნაჭყებიას კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
სპორტული ცენტრი

2800 ლანჩხუთი გორგასალის ქ.N11 ტ. 8 494–22–31–64

N- 27 ,,21“ ივლისი - 2020 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს ბატონ

ალექსანდრე სარიშვილს

ბატონო ალექსანდრე, როგორც მოგეხსენებათ სპორტულ ცენტრს უზუფრუქტით გადმოცემული გვაქვს გვიმბალაურის საჭიდაო დარბაზი, სადაც მოსაწესრიგებელია და ჩასატარებელია მთელი რიგი სამუშაოები: შესაყვანია გაზი და წყალი, გასაკეთებელია კანალიზაცია.

ჩვენს სარგებლობაშია ჭადრაკის ახალი შენობა, საცურაო აუზი, რომელსაც უნდა ჩაუტარდეს კოსმეტიკური სამუშაოები, ასევე ნიგოითის რაგბის სტადიონი, რომელშიც დასადგმელია რკინის ძელები რაგბის კარებისთვის, გთხოვთ დაგვრთოდ ნება ზემოთ ჩამოთვლილი სამუშაოები შევასრულოთ ჩვენი სახსრებით.

ამასთანავე გთხოვთ ჩვენს სარგებლობაში მყოფი ობიექტები გადმოგვცეთ უზუფრუქტის წესით.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული

ცენტრის დირექტორი : (დ.მარშანიშვილი)

344
21 07 20

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება

2020 წლის აგვისტო

ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს ქალთა საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის ლანჩხუთი“-სთვის (ს/ნ 433649493) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N19 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

მუხლი 1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს ქალთა საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის ლანჩხუთი“-სთვის (ს/ნ 433649493) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N19 განკარგულება.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკისა და ქონების მართვის
სამსახური

2800 ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37 Lanchkhuti@yahoo.com

N 1158
05/08/2020

1158-09-3-202008051218

ბატონ ალექსანდრე სარიშვილს

ეკონომიკისა და ქონების მართვის

სამსახურის უფროსის,

გიორგი ნაჭყებიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ალექსანდრე,

ჩვენს სამსახურს დაეწერა შ.პ.ს. „ქალთა საფეხბურთო კლუბი-ლანჩხუთის ლანჩხუთი“-ს დირექტორის წერილი (კანც.N3811.30.07.2020 წ.), რომლითაც მოთხოვნილია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფ: ნიგოითში მდებარე უძრავ ქონებაზე გადაცემის შესახებ (მიწის(უძრავი ქონების)საკადასტრო კოდი 27.04.51.329) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N19 განკარგულების და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 3 აპრილის N115 ბრძანების გაუქმება ვინაიდან ზემოთ ხსენებული შ.პ.ს. მიერ არ ხდება ამ უძრავი ქონების გამოყენება. ასევე ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ სამსახურში შემოსულია ა(ა)იპი „ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის“ დირექტორის წერილი (კანც.N 3441.21.07.2020 წ.) რომლითაც მოთხოვნილია ს/კ 27.04.51.329 კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე უსასყიდლო უზუფრუქტის გაფორმება, შემდგომში ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის“ დებულებით განსაზღვრული საქმიანობის განსახორციელებლად, კერძოდ სარაგბო სტადიონის მოსაწყობად.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მოსაზრებაა გაუქმდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული,ნიგოითის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფ: ნიგოითში მდებარე უძრავ ქონებაზე (ს/კ 27.04.51.329) შ.პ.ს. „ქალთა საფეხბურთო კლუბი-ლანჩხუთის ლანჩხუთი“-ს შესახებ გამოცემული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება. ყოველივე ამის შემდგომ მოხდეს ზემოთ აღნიშნული უძრავ ქონებაზე ა(ა)იპ „ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრზე “ უსასყიდლოდ უზუფრუქტის გაფორმება.

შესაბამისი ქმედებების განსახორციელებლად გთხოვთ დაავალოთ მერიის იურიდიულ სამსახურს სათანადო პროექტების მომზადება.

დანართი: 2(ორი) ფურცელი.

პატივისცემით,

გიორგი ნაჭყებია



პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური

ქალთა საფეხბურთო კლუბი
„ლანჩხუთი“

WOMEN'S FOOTBALL CLUB
LANCHKHUTI

შპს ქალთა საფეხბურთო კლუბი ლანჩხუთის ლანჩხუთი
სკ / Tax ID: 433649493. ქ. ლანჩხუთი ჟორდანიას ქ. N 126.
Zhordania Str. N 126, Lanchkhuti, Georgia

Ltd women's football club Lanchkhutis Lanchkhuti
ტელ/ Tel: + 995 599 31 68 86
E-Mail: wfclanchkhuti@gmail.com

N27

29 ივლისი 2020 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ალექსანდრე სარიშვილს

ბატონო ალექსანდრე,

შ.პ.ს. ქალთა საფეხბურთო კლუბი ლანჩხუთის ლანჩხუთი გთხოვთ დაიბრუნოთ ნიგოითის სტადიონი, რომელიც გადმოგვეცა უზურფრუქტის წესით.

დურმიშხან ჩხაიძე
კლუბის დირექტორი

3810
30 07 20

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2020 წლის აგვისტო

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილისა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგოითში მდებარე სტადიონი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 27.04.51.329)) ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრისათვის“ (ს/ნ 433649359) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით - უსასყიდლოდ უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე**